



თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №48

2012 წლის 6 სექტემბერი
ქალაქი ბათუმი

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს
საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შექმნისა
და დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. შეიქმნას თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია.

2. დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თანდართული დებულება.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საფინანსო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №2 დადგენილება.

ბ) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №3 დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი კირთაძე

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო (შემდგომში - საკრებულო) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადების, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიისა (შემდგომში - მერია) და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით, საკუთარი შემადგენლობიდან, თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიას (შემდგომში - კომისია).

2. კომისიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, უფლებამოსილება და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და მოცემული დებულებით.

მუხლი 2.

1. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედს.

2. კომისიის თავმჯდომარე არჩევიდან უახლოეს სხდომაზე საკრებულოს წარუდგენს კომისიის პერსონალურ შემადგენლობას. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით.

3. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით, ამტკიცებს საკრებულო. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი.

4. კომისიის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულნი იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

5. კომისიის სხდომის დღის წესრიგს ადგენს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრთა წინადადებით და კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები ან/და დამატებები.

თავი II. კომისიის უფლებამოსილება

მუხლი 3.

კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

მუხლი 4.

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) განიხილავს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში მომზადებულ და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ პროექტებს და ღებულობს სათანადო დასკვნებს;

გ) განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საკრებულო, აღნიშნულის თაობაზე შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

დ) კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, აგრეთვე მასში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის თაობაზე წარდგენილი საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტს და ამზადებს სათანადო დასკვნებს მათ შესახებ;

ე) განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე განსახილველ პროექტებს და ადგენს სათანადო დასკვნას;

ვ) საფინანსო კუთხით და ეკონომიკურ ასპექტში განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების პროექტებს, ქ. ბათუმში ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების შესახებ, სახელმწიფოსა და თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასისა და თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს ნორმატიული აქტის პროექტს, ღებულობს შესაბამის დასკვნებს;

ზ) მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაზე ახორციელებს კონტროლს, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახორციელებს საფინანსო შემოწმებას საბიუჯეტო სახსრების მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტურობის დადგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

თ) სწავლობს და აანალიზებს საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილ დარღვევებს და წარადგენს წინადადებებს დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

ი) სამოქმედო სფეროში კონტროლს უწევს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

კ) განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველ პროექტებს;

ლ) შეიმუშავებს ან/და განიხილავს ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელ ნორმებს;

მ) შეიმუშავებს ან/და განიხილავს ქალაქის კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სფეროში მოქმედი მერიის სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა პროექტებს;

ნ) კომისიის სხდომაზე ისმენს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებებსა და მოხსენებებს, განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებსა და საჩივრებს;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით, ამ დებულებით, მათ საფუძველზე და შესაბამისად საკრებულოს ან/და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომისიას წარუდგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

3. საკრებულოს მიერ არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში-ვალდებულია დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

4. კომისია წელიწადში არანაკლებ ერთხელ, 10 დეკემბრამდე საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

1. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
 - ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;
 - გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, სიტყვას აძლევს კომისიის წევრებს და მოწვეულ პირებს;
 - დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე, მონაწილეობს კენჭისყრაში და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
 - ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებსა და კომისიის გადაწყვეტილებებს (დასკვნა, რეკომენდაცია, წინადადება);
 - ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;
 - ზ) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილია წერილობით მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს;
 - თ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;
 - ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 6.

კომისიის წევრს უფლება აქვს:

- ა) თანაბარი უფლებით მონაწილეობდეს კომისიის სხდომებში;
- ბ) გამოთქვას თავისი წინადადებები, მოსაზრებები და შენიშვნები;
- გ) განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით დაიკავოს განსხვავებული პოზიცია და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავისი მოსაზრება;
- დ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან;
- ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებანი, კანონმდებლობის, საკრებულოს რეგლამენტისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 7.

1. კომისიის წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულება;
 - ბ) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;
 - გ) დაესწროს კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;
 - დ) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;
 - ე) შეასრულოს კომისიის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები;
2. კომისიის წევრის მიერ თავისი მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ გამოიყენება საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული ზემოქმედების ფორმები.

თავი III. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მუხლი 8.

კომისიის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას, საქმისწარმოებას და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულებას.

თავი IV. დებულებაში ცვლილებებისა ან/და დამატების შეტანა

მუხლი 9.

კომისიის დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება საკრებულოს დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.